26.12.2023 წ.

ქ. თბილისში, სამტრედიის ქუჩა #50ა -ში მდებარე,
ს/კ # 01.13.05.001.183 ასაშენებელი მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მოსაზღვრე ტერიტორიებზე არსებული შენობა-ნაგებობების ურთიერთგავლენასთან დაკავშირებით.

მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსი მდებარეობს ქ. თბილისში, სამტრედიის ქუჩა #50ა -ში მდებარე, ს/კ 01.13.05.001.183 მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი 23 სართულიანია (19 მიწისზედა და 4 მიწისქვეშა სართულით).

მშენებარე შენობას ჩრდილოთის მხრიდან დაახლოებით 10 მეტრის მანძილზე ესაზღვრება 1 სართულიანი სასაწყობე შენობა, რომელიც მდებარეობს მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.13.05.001.082; აღმოსავლეთის მხარეს დაახლოებით 12 მეტრის მანძილზე ესაზღვრება 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც მდებარეობს მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.13.05.001.013; სამხრეთის მხარეს დაახლოებით 1 მეტრის მანძილზე ესაზღვრება 3 სართულიანი შენობა მდებარე მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.13.05.001.063; დასავლეთის მხარეს ესაზღვრება სამანქანო გზა.

საცხოვრებელი შენობის გეგმარებითი პარამეტრები:

შენობა ღერძებში არის **48.750 X 58.025 მ**; მაქსიმაური მალი შეადგენს **L=10.150 მ.** შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი სისტემა, მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმებით. სართულის მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს **H=4.80 მ.** შენობის პირობითი ნიშნული - **±0.00**, პირობითი ნიშნულის შესაბამისი აბსოლუტური ნიშნული **+410.40**

ნაგებობის დაფუძნების პირობები: სამშენებლო მოედნის (ს/კ 01.13.05.001.183) გეოტექნიკური აგებულებიდან გამომდინარე შენობა საძირკვლის ფილის მეშვეობით ეფუძნება ძირითად ქანს **ფენა-4 -ს R_c=12.8 მპა**.

გავლენის შეფასება საპროექტო შენობის ჩრდილოეთ მხარეს ს/კ 01.13.05.001.082 მდებარე მიწის ნაკვეთზე; აღმოსავლეთის მხარეს ს/კ 01.13.05.001.013 მდებარე მიწის ნაკვეთზე; სამხრეთის მხარეს ს/კ 01.13.05.001.063 მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობებისთვის და დასავლეთ მხარეს მდებარე სამანქანო გზაზე გავლენის შესამცირებელ ღონისძიებად პროექტით გავალისწინებულია შენობის საძირკვლის ფილის მეშვეობით კლდოვან ქანზე დასმა, რაც თავის მხრივ არ წარმოადგენს დატვირტვების გადამტანს. ქვაბულის გასამაგრებლად საჭიროა ქვაბულის მოჭრა ქანობებით და ზოგიერთ მონაკვეთში გამაგრება ხიმინჯების ფარდის მეშვეობით

<u>დასკვნა:</u>

გამომდინარე შენობის დაფუძნების პირობებიდან და მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების მდებარეობიდან საპროექტო შენობასთან მიმართებაში და ასევე პროექტით გათვალისწინებული ქვაბულის პროექტიდან გამომდინარე ასაშენებელი შენობა საფრთხეს არ უქმნის მოსაზღვრე შენობა-ნაგებობებს (კერძოდ შემდეგ საკადასტრო კოდებზე მდებარე შენობა ნაგებობები: 01.13.05.001.082, 01.13.05.001.013; 01.13.05.001.063), როგორც ნორმირებული მშენებლობის პროცესში, ასევე შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებშიც.

ინჟინერ-კონსტრუქტორი: თ. მაცაბერიძე